ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და
საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 54

15აპრილი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა, სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

რობერტ სილაგაძე

ჯონ გრემი

მერაბ ბალაშვილი

ნიკო ხელკელაძე

ამირან ბალაშვილი

ირმა ღუღუნიშვილი

თორნიკე ბერიძე

ივანე ბერიაშვილი

დათა ნაჭყებია

პაატა ჩაფიძე

თამაზ ნადირაძე

მიხეილ ამაშუკელმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში სამხედრო ქალაქთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ახალგორის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ბათუმის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩის გაგრძელების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სერგი წულაძის ქუჩის მონაკვეთისთვის შალვა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის თეთრი წყაროს ქუჩის და თეთრი წყაროს I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე ლუარსაბ I-ის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევისთვის და ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხისთვის ფიჭვების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ღვინის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პოლიციის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის პოლიციის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში სამხედრო ქალაქთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ახალგორის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს და მოქალაქეებს გააცნო პირველი საკითხი. მან აღნიშნა რომ მოქალაქე რობერტ სილაგაძემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დამისამართებასთან დაკავშირებით მოითხოვა უსახელო ტერიტორიის სახელდება. კომისიაში ასევე შემოსულია მოქალაქე მერაბ ბალაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ახალგორის სახელი.

კომისიამ განიხილა და შეისწავლა აღნიშნული საკითხები, გაითვალისწინა ოკუპირებული ახალგორის რაიონიდან დევნილი მოქალაქეების მოთხოვნა (განცხადებას ერთვის 45 მოქალაქის ხელმოწერა) და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მინიჭებოდა ახალგორის სახელი.

აღნიშნულ საკიხთან დაკავშირებით სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები.

აზრი გამოთქვეს მოქალაქეებმა რობერტ სილაგაძემ და ჯონ გრემმა, რომლებიც ფლობენ უძრავ ქონებას აღნიშნულ ტერიტორიაზე. მოქალაქე ჯონ გრემმა შეაგროვა უსახელო ქუჩაზე მცხოვრებთა ხელმოწერები (სულ 16 ხელმოწერა) და მ/წლის 6 აპრილს განცხადებით მიმართა კომისიას, რათა აღნიშნულ ტერიტორიას მინიჭებოდა წმინდა ექვთიმე კერესელიძის სახელი.

მოქალაქე ჯონ გრემმა აღნიშნა რომ ქუჩის მაცხოვრებლების მოტივაცია აღნიშნული წმინდანის სახელდებასთან დაკავშირებით იყო ის, რომ მან დაწერა სადოქტორო დისერტაცია წმინდა ექვთიმე კერესელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, იქ ცხოვრობს მორწმუნე მრევლი და მათი სურვილი იყო ქუჩას მინიჭებოდა წმინდა ექვთიმე კერესელიძის სახელი.

ახალგორთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს მოწვეულმა მოქალაქეებმა. მერაბ ბალაშვილმა აღნიშნა რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოსმა სეპარატისტებმა ახალგორს გადაარქვეს სახელი და დაუბრუნეს საბჭოთა კავშირის დროს 1934 წელს შეცვლილი სახელი ლენინგორი. დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხორციელდება მცდელობა, რათა სახელწოდება „ახალგორი" მთლიანად წაიშალოს, როგორც ტოპონიმი და ძირძველი სახელწოდება და დამკვიდრდეს „ლენინგორი". აქედან გამომდინა სამაჩაბლოდან 2008 წელს დევნილი მოსახლეობის თხოვნა იყო თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებოდა ახალგორის სახელი.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთთან დაკავშირებით. გადაწყვიტეს კონსულტაციები გაიარონ აღნიშნულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლებთან და ახალგორის სახელდების საკითხი ამოიღონ დღის წესრიგიდან.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საკითხი გადაიდოს განხილვისთვის და გადაწყდეს მოსახლეობის ჩართულობის და კონსულტაციების შემდგომ.

2. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ბათუმის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა აღნიშნულ ტერიტორიათან დაკავშირებით. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ბათუმის ქუჩის უსახელო შესახვევს და მისაღებია ბათუმის II შესახვევის სახელის მინიჭება.

აზრი გამოთქვა განმცხადებელმა ირმა ღუღუნაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცეროი

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ბათუმის II შესახვევის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, გაგრძელდეს დიღმის ქედის ქუჩა.

4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სერგი წულაძის ქუჩის მონაკვეთისთვის შალვა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის თეთრი წყაროს ქუჩის და თეთრი წყაროს I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია შპს „საგზაო ისანის" დირექტორის ე. ტიტვინიძის წერილი, რომლითაც ითხოვს 1995 წლიდან მისი კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გამავალი ქუჩის სახელწოდების ცვლილების კორექტირებას.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ გზის და ქუჩის მონაკვეთი უშუალოდ კვეთს რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ქუჩათა არსებული განვითარება არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს და ართულებს თანამედროვე ნუმერაციისა და დამისამართების პროცესს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, სერგი წულაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს შალვა დოლიძის სახელი, შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს თეთრი წყაროს ქუჩის სახელი და შალვა დოლიძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს თეთრი წყაროს I ჩიხის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეფე ლუარსაბ I-ის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. 2020 წლის ბონდო დავითაშვილი ითხოვდა დამისამრთებას სოფელ თელეთში. კომისიამ შეისწავლა ტერიტორია გადაწყვიტა გეოგრაფიულ ობიექტს მინიჭებოდა მეფე ლუარსაბ I-ის სახელი. კომისიამ გაითვალისწინა, რომ მისი მოღვაწეობა პირდაპირ კავშირშია ქუჩის მდებარეობასთან, თელეთის ბრძოლის ეპიზოდის ნაწილში. 1522 წელს გამართულ ბრძოლაში მეფე ლუარსაბ I-ის მეთაურობით ქართველებმა დაამარცხეს და უკუაგდეს ყიზილბაშები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეფე ლუარსაბ I-ის სახელი.

7. **ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურს მიმართა მოქალაქე თორნიკე ბერიძემ, რომელიც ითხოვდა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და დადებითად გადაწყვიტა. რადგან მიმდებარე ქუჩა ატარებს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელს, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უსახელო ქუჩას მიენიჭოს გია ქარსელაძის სახელი, რომელიც ასევე დაღუპულია 9 აპრილს.

აზრი გამოთქვა განმცხადებელმა თორნიკე ბერიძემ. მან კომისიას მადლობა გადაუხადა დროული რეაგირებისათვის, რითიც მოგვარდა დამისამართების პრობლემა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეშვიდე საკითხს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, თამარ მამულაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული გია ქარსელაძის სახელი.

8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოსიმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით მოქალაქე ივანე ბერიაშვილი ითხოვს გლდანის რაიონში არსებულ რევოლუციის ქუჩას შეეცვალოს სახელი და მიენიჭოს საქართველოს დამსახურებული სპორტსმენის, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის ზარბეგ ბერიაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა მისი ბიოგრაფია. სპორტში მიღწეული წარმატებებისთვის ზარბეგ ბერიაშვილი

დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლით. გარდა სპორტული მიღწევებისა, გლდანის რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მინიჭებული აქვს გლდანის რაიონის პირველი საპატიო მოქალაქის წოდება.

აზრი გამოთქვა დაინტერესულმა პირმა ივანე ბერიაშვილმა, მან აღნიშნა რომ მოსახლეობის სრული მხარდაჭერა აქვს ქუჩის სახელწოდების ცვილილებას. მან კომისიას მადლობა გადაუხადა საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, რევოლუციის ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს სპორტსმენის ზარბეგ ბერიაშვილის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევისთვის და ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხისთვის ფიჭვების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხი. კომისიას ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია ამ ორი ქუჩის ერთ დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება.

მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე კომისიამ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა, რათა ქუჩას მიენიჭოს ფიჭვების სახელი (აღსანიშნავია რომ დასახლებაში გაშენებულია ფიჭვნარი).

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის I შესახვევს და ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხს მიენიჭოს ფიჭვების ქუჩის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ღვინის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ვაზისუბნის მე-40 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიასთან მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადება, რომლითაც ითხოვენ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ღვინის სახელი.

კომისიამ გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა, ვინაიდან მიმდებარედ არსებობს ვაზის ქუჩა, თემატური კონტექსტის გათვალისწინებით დადებითად გადაწყვიტა საკითხი.

აზრი გამოთქვეს დაინტერესებულმა პირებმა დათა ნაჭყებიამ და და პაატა ჩაფიძემ. მათ კმაყოფილება გამოთქვეს სახელის შერჩევისას მათი მოთხოვნის გათვალისწინებისთვის და მადლობა გადაუხადეს კომისიას.

კომისიამ კენჭი უყარა მეათე საკითხს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ღვინის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, პოლიციის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის პოლიციის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიას განსახილველად წარუდგინა შემდეგი საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" წერილი, რომლითაც მოქალაქე ხათუნა პაპავა ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიას შეისწავლა ტერიტორია და საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, პოლიციის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს პოლიციის I ჩიხის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კონორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე ვაკის რაიონში უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელის მინიჭების შესახებ იმსჯელეს. მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით კომისიში შემოსულია მოქალაქე ზურაბ ქავთარაძის წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიქტის სახელდებას. ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ბაგების სატყეო უბანში, მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარეობს კინორეჟისორის დიმიტრი ბათიაშვილის სახელობის ქუჩა, კომისიამ სახელის შერჩევისას თემატური კონტექსტის გათვალისწინებით,

შოთა და ნოდარ მანაგაძეების ღვაწლის სათანადოდ დაფასების მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ უსახელო ქუჩას მიენიჭოს კინორეჟისორების სახელი.

აზრი გამოთქვა სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულმა პირმა თამაზ ნადირაძემ, რომელიც იყო განმცხადებლის წარმომადგენელი. მან აღნიშნა რომ მათი სურვილი იყო, ქუჩას მინიჭებოდა ნოდარ ვალიშვილის სახელი. მოქალაქეს განუმარტეს რომ ნოდარ ვალიშვილის სრული ღვაწლი მთლიანად დაკავშირებულია ქალაქ ქუთაისთან და კომისია დაუჭერს მხარს სახელდებას ქალაქ ქუთაისში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში, ივანე მაჩაბლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კინორეჟისორების შოთა და ნოდარ მანაგაძეების სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე
მიხეილ ამაშუკელი